შუახევის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-767
25/12/2020

767-07-4-202012251621

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86[1] მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1.1 ზაურ გოგიტიძე – ბიზნესმენი, საბჭოს წევრი;

1.2 ნათელა ბახტაძე – სსიპ „ცინარეთის საჯარო სკოლის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;

1.3 გოგი ბოლქვაძე – ბიზნესმენი, საბჭოს წევრი;

1.4 ფრიდონ ფუტკარაძე – სოფელ შუბნის მცხოვრები, საბჭოს წევრი;

1.5 მზია გოგაძე – სსიპ „შუახევის საჯარო სკოლის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;

1.6 პაატა ქათამაძე – სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შუახევის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკი, საბჭოს წევრი;

1.7 შუშანა ფუტკარაძე – სოფელ პაპოშვილების მცხოვრები, საბჭოს წევრი;

1.8 ბადრი ქათამაძე – სს „გომარდულის“ სასტუმრო „გომარდული“-ს მენეჯერი, საბჭოს წევრი;

1.9 ნათია აფხაზავა – არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ ბათუმის ფილიალის დირექტორი, საბჭოს წევრი;

1.10 შაქრო ხიმშიაშვილი – სოფელ ნიგაზეულის მცხოვრები, საბჭოს წევრი;

1.11 გურამ ბერიძე – სოფელ ბრილის მცხოვრები, საბჭოს წევრი;

1.12 რომან დუმბაძე – დაბა შუახევის მცხოვრები, საბჭოს წევრი;

1.13 ვასო ხიმშიაშვილი – დაბა შუახევის მცხოვრები, საბჭოს წევრი;

1.14 ფიქრია ჯუმუშაძე – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შუახევის განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

1.15 ვაჟა დავითაძე – ბიზნესმენი, საბჭოს წევრი.

1.16 მერაბ მაკარაძე – სოფელ ოლადაურის მცხოვრები, საბჭოს წევრი.

2. დამტკიცდეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება თანდართული დანართის მიხედვით.

3. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 თებერვლის №06-135 ბრძანება.

4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისთვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ომარ ტაკიძე



მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა

დანართი

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება

მუხლი 1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში საბჭო) არის შუახევის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში მერი) სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებითა და საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

2. საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 10 წევრით. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ არის 1/3-ზე ნაკლები.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები და საქმიანობის წესი

1. საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

2. საბჭო მერის წარდგინებით განიხილავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებებს, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ინფრასტრუქტურულ და სოციალური პროექტებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები საბჭოს წარედგინება წერილობით მერის მიერ მისი საკრებულოში წარდგენამდე 15 დღით ადრე მაინც.

4. საბჭო განსახილველად წარდგენილ დოკუმენტებს განიხილავს და თავის გადაწყვეტილებას მერს წარუდგენს მიღებიდან 7 დღის ვადაში.

5. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

6. საბჭოს სხდომებს იწვევს, ორგანიზებას უწევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე.

7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

8. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

9. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომრის ხმა. 10. საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს სხდომის ოქმს.

11. საბჭოს ყველა წევრი უფლებამოსილია სხდომის ოქმს დაურთოს თავისი განსხვავებული მოსაზრება, რომელიც აუცილებლად შეტანილი უნდა იქნას ოქმში.

12. საბჭო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე მერს წინადადებები და მოსაზრებები წარუდგინოს საკუთარი ინიციატივითაც.

13. საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვეყნებს ან/და საჯაროდ აცხადებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერია.

14. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 2. საბჭოს ხელმძღვანელობა

1. საბჭოს პირველ სხდომას უძღვება საბჭოს უხუცესი წევრი.

2. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც 1 წლის ვადით, თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს საბჭო. კენჭისყრა ტარდება დახურულად, თუკი მოთხოვნა იქნება არანაკლებ 3 წევრისა.

3. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს 3 წევრს.

4. საბჭოს თავმჯდომარე არჩეულად ითვლება, თუკი წარდგენილ კანდიდატს მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

5. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ორგანიზებას უწევს და უძღვება საბჭოს სხდომებს, აფორმებს სხდომის ოქმს.

ბ) წარადგენს საბჭოს მერთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 3. საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა საბჭოს საქმიანობას ხელს უწყობს და ორგანიზებაში დახმარებას უწევს შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით გამოყოფს სხდომის ჩატარების ადგილს, უზრუნველყოფს ტექნიკითა და საკანცელარიო მასალებით.

მუხლი 4. სხვა დებულებანი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მერის ბრძანებით.

ომარ ტაკიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა